

შერეული სწავლა-სწავლების დანერგვა ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების პროგრამაზე

ნინო სებისკვერაძე

ეკატერინე კოჭლამაზაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ელენე ჯიბლაძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ნინო სებისკვერაძე

ეკატერინე კოჭლამაზაშვილი

18.06.2023

## მადლობა

სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესში, ძალიან ბევრმა დაინტერესებულმა პირმა გაგვიწია დახმარება.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ელენე ჯიბლაძეს, რომელიც კვლევის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული ჩვენს პროექტში და ყოველდღიური კონსულტაციებისა და შეხვედრების წყალობით, ძალიან დაგვეხმარა და სწორი მიმართულება მოგვცა პროექტის განხორციელებაში.

ასევე, დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს, რომლებიც კვლევის სხვადასხვა ეტაპზე, კონსულტაციების დახმარებით მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიდნენ.

მადლობას ვუხდით, ასევე, განათლების ადმინისტრირების პროგრამის ადმინისტრაციას თანამშრომლობისთვის.

## სარჩევი

აბრევიატურების ჩამონათვალი.....	iii
აბსტრაქტი .....	1
Abstract .....	3
შესავალი .....	5
საკვლევი პრობლემა.....	10
საკვლევი კითხვები .....	11
ლიტერატურის მიმოხილვა .....	12
კვლევის საზოგადოების მოდელი ( <i>Community of Inquiry – CoI</i> ).....	15
<i>CABLS (Content, Activity, Behavior, Logic, Support)</i> .....	17
ტექნოლოგიის მიმღებლობის მოდელი ( <i>Technology Acceptance Model – TAM</i> ).....	19
კვლევის მეთოდოლოგია.....	22
კვლევის მეთოდი.....	22
პრაქტიკის კვლევის პრინციპები .....	24
მონაწილეები .....	25
დიაგნოსტიკური კვლევის მეთოდოლოგია.....	26
დიაგნოსტიკური კვლევის შედეგები.....	28
ინტერვენციების ეტაპი .....	30
ინტერვენციების შემუშავების მეთოდოლოგია.....	30
ინტერვენციის აღწერა .....	32
ინტერვენციის თეორიული ჩარჩო.....	33
ინტერვენციის შედეგების შეფასება .....	36
ინტერვენციების შეფასების მეთოდოლოგია.....	37
კვლევის შედეგების განხილვა .....	38
ინტერვიუ სტუდენტების ფოკუს-ჯგუფთან:.....	40
შეზღუდვები და რეკომენდაციები:.....	43
გამოყენებული ლიტერატურა:.....	45
დანართები:.....	48

## აბრევიატურების ჩამონათვალი

**CoI - (Community of Inquiry)** კვლევის ისეთი საზოგადოებრივი მოდელის თეორიული ჩარჩო, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ გავიგოთ და შევაფასოთ შერეული სასწავლო გარემოს ხარისხი სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის - სოციალური, კოგნიტური და სწავლების არსებობის მიხედვით.

**SPT-( Social Presence)**-სოციალური ასპექტი-მონაწილეთა შესაძლებლობა დაამყარონ და შეინარჩუნონ ერთმანეთთან ურთიერთობა-თანამშრომლობა კომუნიკაციის გზით,რომელიც მყარდება ,როგორც ონლაინ ,ასევე პირისპირი შეხვედრების მეშვეობით. ონლაინ ეს შესაძლებელია სადისკუსიო დაფების გამოყენებით, ხოლო პირისპირ -ჯგუფური სამუშაოების შესრულებით.

**TPT- (Teaching Presence)**-კოგნიტური ასპექტი-კურსის დიზაინის შემუშავება, ფასილიტაცია და მიმართულების განსაზღვრა. მაგ: შერეული სწავლების დროს ლექტორის მიერ მიწოდებული სილაბუსების ანალიზი, მხარდაჭერის დონე.

**CABLS (კონტენტი, აქტივობა, ქცევა, ლოგიკა და მხარდაჭერა)** - ამ მოდელის მიხედვით, შერეული სწავლების დაგეგმვისას გასათვალისწინებელი ფაქტორებია: კონტენტი, აქტივობა, ქცევა, ლოგიკა და მხარდაჭერა.

**TAM-(Technology Acceptance Model)** - ტექნოლოგიების მიღების მოდელი - ტექნოლოგიის მიღების და გამოყენების ორი ფაქტორის განმსაზღვრელი მოდელია: ტექნოლოგიის აღქმული სარგებლიანობა და გამოყენების აღქმული სიმარტივე.

## აბსტრაქტი

მიმდინარე სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია პრაქტიკის კვლევის გათვალისწინებით, რომლის მიზანიც არის შერეული სწავლა-სწავლების დანერგვის შესაძლებლობის კვლევა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

შერეული სწავლების კვლევის დროს, ყურადღება გამახვილდა პროგრამაში არსებული წინააღმდეგობების შესახებ, რომ ეფექტურად დანერგილიყო ჩვენს მიერ განხორციელებული ინტერვენცია.

ჩვენს მიერ განხორციელებული თეორიული ჩარჩო ეყრდნობა სამი თეორიის კომბინაციას: 1. კვლევის საზოგადოების მოდელს (Community of Inquiry - CoI), 2. CABLES მოდელს (კონტენტი, აქტივობა, ქცევა, ლოგიკა და მხარდაჭერა) 3. ტექნოლოგიების მიღების მოდელს (Technology Acceptance Model - TAM).

ამ თეორიების კომბინაციის შედეგად ჩამოყალიბებული თეორიული ჩარჩოს მეშვეობით გამოიკვეთა მთავარი პრობლემები, როგორცაა ნაკლები ინდივიდუალური ჩართულობა სტუდენტების მხრიდან კურსის ფარგლებში და ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა აკადემიური პერსონალის მხრიდან.

ინტერვენციის განხორციელების ეტაპზე შევარჩიეთ ისეთი კომბინაცია, რომელიც, როგორც სტუდენტების ინდივიდუალური შეფასების, ასევე ლექტორის დროის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობას შექმნიდა.

კვლევის ფარგლებში განვახორციელეთ დავალება კოლეგიალური შეფასების სახით, სადაც შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე სტუდენტები აფასებდნენ ერთმანეთს. განხორციელებული ინტერვენციის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტექნოლოგიების აღქმული სარგებლიანობა არც თუ ისე მარტივი აღმოჩნდა აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებმა დააფიქსირეს დადებითი განწყობა კურსზე ინდივიდუალური დავალების შექმნის შესაძლებლობის შესახებ.

ამდენად, კვლევა საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ შერეული სწავლების ამ მიმართებით, ანუ ინდივიდუალური შეფასების შესაძლებლობის გაჩენით, ამ

პრაქტიკის გამოყენება ეფექტურია და ახლა გამოსაკვლევი რამდენად შესაძლებელია ამ ინსტრუმენტის დანერგვა სხვა კურსებზე, რომ უფრო მასშტაბურად შევაფასოთ შერეული სწავლების შესაძლებლობები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის , განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე.

**საკვანძო სიტყვები:** შერეული სწავლა-სწავლების დანერგვა, კოლეგიალური შეფასება, სტუდენტთა კმაყოფილება.

## Abstract

The following paper introduces the report of an action research carried out with the aim of creating the possibilities of blended learning for the master's program in Education Administration at Ilia State University.

During the process of blended learning study, our attention was paid to the barriers in the program to effectively implement the intervention we created.

Our theoretical framework is based on a combination of three theories: 1. Community of Inquiry (CoI), 2. CABLS (Content, Activity, Behavior, Logic and Support) model 3. Technology Acceptance Model (TAM) .

Through the theoretical framework formed as a result of the combination of these theories, the main problems were identified, such as less individual involvement of students within the course and the possibility of using technology from the academic staff.

At the intervention implementation stage, we selected a combination that would create an opportunity for both individual assessment of students and effective use of the lecturer's time.

As part of the research, we implemented the task in the form of a collegial evaluation, where students evaluated each other based on the principle of random selection. As a result of the implemented intervention, it was revealed that the perceived usefulness of technology was not so easy for the academic staff, and the students expressed a positive attitude about the possibility of creating individual assignments in the course.

Thus, the research allows us to say that with this direction of blended learning, i.e. with the emergence of the possibility of individual evaluation, the use of this practice is effective, and now it is necessary to investigate how far it is possible to implement this tool in other courses to evaluate the possibilities of blended learning on a larger scale at the Master's program of Education Administration of Ilia University.



**Keywords:** Creating possibilities of blended learning, peer-review, students' satisfaction.